



კოვიდ-19-ის (COVID-19) ვაქცინაცია

კოვიდ-19-ის (Covid-19) საწინააღმდეგო რნმ-ვაქცინასთან (ფაიზერი/ბაიონტექი, მოდერნა) დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია

რამდენად უსაფრთხო და ეფექტურია ვაქცინაცია?

შვეიცარიაში ნებისმიერი ვაქცინა საჭიროებს ლიცენზირებას. ამისათვის ის უსაფრთხოების, ეფექტიანობის და ხარისხის მაღალ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. შვეიცარიის წამლების სააგენტომ (Swissmedic) კოვიდ19-ის საწინააღმდეგო რნმ-ვაქცინა გულდასმით გამოსცადა და გასცა ლიცენზია. ის უსაფრთხო და ეფექტურია. რამდენიმე ათეულ ათასმა ადამიანმა გაიარა ვაქცინაცია კვლევის ფარგლებში. ის ასევე უსაფრთხო და ეფექტურია ხანდაზმული და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისთვის. მისი ოფიციალურად გამოშვების შემდეგ ასობით მილიონი ადამიანი იქნა ვაქცინირებული. თუმცა, სპეციალისტები განაგრძობენ დაკვირვებას ვაქცინის უსაფრთხოებასა და ეფექტურობაზე. ვაქცინაციის სარგებელი საკმაოდ უნდა აღემატებოდეს რისკებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის რეკომენდებული შვეიცარიაში ვაქცინაცია.

სად შემიძლია ვაქცინის გაკეთება?

ფედერალურმა მთავრობამ შეიმუშავა ვაქცინაციის სტრატეგია და რეკომენდაციები. კანტონები პასუხისმგებელი არიან ვაქცინაციაზე. ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად შეგიძლიათ ვაქცინაციათქვენ მიიღებთ ვებგვერდზე ან თქვენი კანტონის საინფორმაციო ცხელ ხაზზე (www.bag-coronavirus.ch/kantone), ასევე შეგიძლიათ მიმართოთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

ვინ უნდა გაიკეთოს ვაქცინა?

Covid-19-ის ვაქცინაცია მრნ-ვაქცინით რეკომენდებულია 12 წლის და უფროსი ასაკის ყველა ადამიანისთვის.

ეს რეკომენდაცია განსაკუთრებით ეხება

- ადამიანებს, რომლებიც მაღალი რისკის ჯგუფში იმყოფებიან (ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, 65 წელს გადაცილებული პირები და ფეხმძიმე ქალები);
- და მათთან კერძო და პროფესიულ კონტაქტში მყოფ პირებს.

ვინ არ უნდა გაიკეთოს ვაქცინა?

ქვემოთ ჩამოთვლილი პირებისთვის არ არის რეკომენდებული კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო რნმ-ვაქცინა:

- პირები, რომლებსაც ვაქცინაში შემაჯალ რომელიმე ნივთიერების მიმართ დაუდასტურდათ მწვავე ალერგია, განსაკუთრებით პოლიეთილენგლუკოლზე (PEG).
- ბავშვები და 12 წლამდე მოზარდები. აქამდე არ არსებობს ამ ასაკობრივი ჯგუფის ვაქცინაციასთან დაკავშირებული საკმარისი მონაცემები.

გაითვალისწინეთ: გაქვთ მაღალი სიცხე? ავად ხართ და თავს შეუძლოდ გრძნობთ? ამ შემთხვევაში გადაავადეთ ვაქცინაცია. ელოდებით კოვიდ-19-ის ტესტის შედეგს? ან ხართ იზოლაციაში ან კარანტინში? ნუ გაიკეთებთ ვაქცინას ამ

შემთხვევაში. ჩაიტარეთ ვაქცინაცია მოგვიანებით პირველივე შესაძლებლობისას.

როგორ მოვიქცე თუ ფეხმძიმედ ვარ ან მსურს დაფეხმძიმება?

გეგმავთ დაფეხმძიმებას? ამ შემთხვევაში, რაც შეიძლება მალე ჩაიტარეთ ვაქცინაცია.

ხართ ფეხმძიმედ და არ ხართ ვაქცინირებული? ჩვენ გირჩევთ ვაქცინაციას ფეხმძიმობის მე-12 კვირის შემდეგ (ე.ი. ფეხმძიმობის პერიოდის მე-2 მესამედიდან). მაგრამ ზოგადად, ვაქცინაცია შესაძლებელია ფეხმძიმობის ადრეულ პერიოდშიც.

ხართ ფეხმძიმედ ან გეგმავთ დაფეხმძიმებას და გაქვთ კითხვები ვაქცინაციასთან დაკავშირებით, მიმართეთ თქვენს ექიმს ან მეან-გინეკოლოგს.

როგორ კეთდება ვაქცინა?

ინექცია კეთდება მკლავზე.

რა სიხშირით უნდა გავიკეთო ვაქცინა?

ვაქცინის გაკეთება წესით ორჯერ არის საჭირო. მეორე ვაქცინის გაკეთება შესაძლებელია პირველი ვაქცინის გაკეთებიდან მეოთხე კვირას.

მნიშვნელოვანია იცოდეთ: ორივე ვაქცინა გაიკეთეთ.

მხოლოდ ამ შემთხვევაში ხართ ოპტიმალურად დაცული. თუ თქვენ უკვე გქონდათ კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევა გესაჭიროებათ მხოლოდ ერთჯერადი აცრა რნმ-ვაქცინით.

როგორ მიცავს ვაქცინა?

თქვენი სხეული გამოიშუშავებს დაცვით ფუნქციას კოვიდ-19-ის წინააღმდეგ. ეს გრძელდება დაახ. ერთი ან ორი კვირა მეორე ვაქცინაციიდან. ვაქცინა აძლიერებს თქვენს იმუნიტეტს. ის თქვენს სხეულს ვირუსის დამარცხებაში ეხმარება. კოვიდ-19-ით დაავადების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება. დღეს არსებული მონაცემების მიხედვით რნმ-ს ვაქცინები ასევე იცავენ ვირუსის აქამდე ცნობილი ვარიანტებისგან.

მნიშვნელოვანია იცოდეთ: არ არსებობს კორონავირუსისგან

სრული დაცვის საშუალებები. კოვიდ-19-ის ვაქცინის მიუხედავად შესაძლებელია ზოგიერთი ადამიანი დაინფიცირდეს. მაგრამ ვაქცინაციის შემთხვევაში თქვენ ძალიან კარგად ხართ დაცული დაავადების გართულებებისგან. ამიტომ, დაუყოვნებლივ გაიარეთ ტესტი თუ გაქვთ კოვიდ -19 სიმპტომები. ამ ბმულზე იხილავთ ზუსტ ინფორმაციას ვაქცინის მოქმედების შესახებ: www.bag-coronavirus.ch/mrna

რამდენი ხანი მიცავს ვაქცინა?

ამ დროისთვის სპეციალისტები იკვლევენ თუ რამდენი ხანი მოქმედებს ვაქცინა. სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად,

ასე დავიცავთ თავს.



ადამიანი მძიმე დაავადებისგან სავარაუდოდ დაცულია მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. ამ ეტაპზე არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ამ პერიოდის შემდეგ ადამიანი ნაკლებად იქნება დაცული დაავადების გართულებისგან. მაგრამ, შესაძლებელია გარკვეული დროის შემდეგ ვაქცინაცია კვლავ საჭირო დარჩეს.

შესაძლებელია ვაქცინაციით კოვიდ-19-ით დაინფიცირება?
არა. ვაქცინაციით არ არის შესაძლებელი კოვიდ-19-ით დაინფიცირება. ვაქცინა არ შეიცავს კორონავირუსს.

გავიკეთო ვაქცინა თუ უკვე ინფიცირებული ვიყავი კორონავირუსით?

ვაქცინაცია ასევე გამართლებულია, როცა თქვენ უკვე ინფიცირებული იყავით კორონავირუსით. ავადმყოფობის შემდგომ პერიოდში გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაცული იქნებით განმეორებით დაინფიცირებისგან, მაგრამ უცნობია, თუ რამდენი ხანი. თუმცა, არსებობს ფაქტები, რომელიც მიუთითებენ, რომ აცრილი ადამიანები უკეთესად არიან დაცული ინფექციისგან, ვიდრე გამოჯანმრთელებულები. იმისთვის, რომ უკეთესად და ხანგრძლივად იყოთ დაცული. თუ შესაძლებელია, გაიკეთეთ ვაქცინა დაინფიცირებიდან 3 თვის განმავლობაში. თუ თქვენ უკვე გქონდათ კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევა, საკმარისია ერთი ვაქცინის დოზა ოთხი კვირის შემდეგ. მეორე ვაქცინის დოზაზე შეგიძლიათ უარი თქვათ. გამონაკლისს წარმოადგენენ მაღალი რისკის ქვეშ მყოფი პირები. ცნობებისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს.

აქვს თუ არა ვაქცინას გვერდითი ეფექტები?

ნებისმიერი ვაქცინას თან სდევს გვერდითი ეფექტები. ხშირად სიმპტომები მსუბუქად ან საშუალოდ ვლინდება და მალევე ქრება. გვერდითი ეფექტები იშვიათია. ის რამდენიმე ადამიანს მძიმე ალერგიული რეაქციით გამოუვლინდა კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო რწმ-ვაქცინის გაკეთებისთანავე. ძალიან იშვიათ შემთხვევებში ვაქცინაციიდან 14 დღის განმავლობაში დაფიქსირდა გულის კუნთის ან გულის პერანგის ანთება, რომელიც უმეტესად მსუბუქი ფორმით გამოვლინდა და მკურნალობამ ადვილად ჩაიარა. შესაძლებელია, რომ არსებობდეს კავშირი ვაქცინასა და ანთებას შორის. მაგრამ, მსგავსი ანთება უფრო ხშირად ვითარდება კორონავირუსით ინფიცირებისას, ვიდრე ვაქცინაციის შემდეგ. მიუხედავად ამისა, აქამდე არ არსებობს მძიმე გვერდითი ეფექტებით გამოწვეული აშკარა სიმპტომები. მსგავსი გვერდითი ეფექტების გამოვლენა მოსალოდნელი იყო ვაქცინაციიდან უახლოეს რამდენიმე თვეში. სპეციალისტები გულდასმით აკვირდებიან შესაძლო სიმპტომების გამოვლენას.

რა გვერდითი ეფექტების გამოვლენა არის შესაძლებელი?

- მკლავზე, სადაც ვაქცინა გაკეთდა სიწითლე, ის მტკივნეულია ან შეშუპებულია
- თავის ტკივილი
- მოთენთილობა
- კუნთების და სახსრების ტკივილი

- ზოგადი სიმპტომები, როგორც არის შემცირება, სიცხის შეგრძნება ან დაბალი სიცხე

ეს გვერდითი ეფექტები ხშირად ვაქცინაციის შემდეგ ვლინდება. რაც იმის მაჩვენებელია, რომ ორგანიზმი ავადმყოფობის წინააღმდეგ დაცვით ფუნქციას გამოიმუშავებს. მსუბუქი ფორმით გამოვლენილი სიმპტომები ასევე კარგის ნიშანია. ალერგიული რეაქცია ვაქცინაციისთანავე ვლინდება ძლიერი შეშუპებით, სიწითლით, ქავილით ან სულის ხუთვებით. გულის კუნთის ანთების ტიპური სიმპტომებია ტკივილები გულმკერდის არეში, ქოშინი და აჩქარებული გულისცემა. მსგავსი სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენს ექიმს.

რამდენი ხანი გრძელდება გვერდითი ეფექტები?

გვერდითი ეფექტები, როგორც წესი, რამდენიმე დღეში გადის. გაქვთ ერთი კვირის შემდეგ გვერდითი ეფექტები? თქვენი მდგომარეობა უარესდება? ან ნერვიულობთ? ამ შემთხვევაში მიმართეთ თქვენს ექიმს.

ვაქცინირებული ვარ. შემიძლია კორონავირუსით სხვა ადამიანების ინფიცირება?

სრული ვაქცინაციის შემდეგ, ალბათობა იმისა, რომ თქვენ დაინფიცირდებით კორონავირუსით, მნიშვნელოვნად შემცირდება და მასთან ერთად გადაცემის რისკიც. მიუხედავად ამისა, ვაქცინაცია არ გვთავაზობთ 100%-იან დაცვას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ: ვაქცინაციამდე ისევე როგორც ვაქცინაციის შემდეგ უნდა დაიცვათ ჰიგიენისა და ქცევის წესები, მაგრამ: თუ თქვენ სრულად ხართ აცრილი შეგიძლიათ სხვა სრულად აცრილ პირებთან ერთად კერძო შეხვედრების დროს უარი თქვათ დისტანციის დაცვაზე თუ თქვენ ახლო კონტაქტი გქონდათ პირთან, რომელსაც ინფექცია დაუდასტურდა, ვალდებული არ ხართ გადახვიდეთ კარანტინის რეჟიმზე. საზღვრის გადაკვეთისას თქვენ ასევე თავისუფლდებით მრავალი სანიტარული ზომისგან¹.

ვინ იხდის ვაქცინის თანხას?

ვაქცინა თქვენთვის უფასოა.

ვაქცინაცია ნებაყოფლობითია?

დაიხ. ვაქცინაცია შევიცარიაში ნებაყოფლობითია.

სად ვნახო დამატებითი ინფორმაცია?

კოვიდ-19-ის ვაქცინაციასთან დაკავშირებულ დამატებით ინფორმაციას იხილავთ ჯანდაცვის ფედერალური უწყების (BAG) ვებგვერდზე: www.foph-coronavirus.ch/vaccination მიმართეთ თქვენს ექიმს. ან მიმართეთ ფარმაცევტს.

¹ შემოსვლა შევიცარიაში (admin.ch)

